

ურთიერთკავშირი ემოციურ რეგულაციასა და შინაგან მეტყველებას შორის

ხატია ფიცხელაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა
და მეცნიერების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : თინათინ ჭინჭარაული

სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდის ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ თინათინ ჭინჭარაულს, ინტელექტუალური და ემოციური მხარდაჭერისათვის. ასევე ოჯახის წევრებს, თანამშრომლებსა და მეგობრებს მოთმინებისა და მხარდაჭერისათვის; კვლევის მონაწილე ბავშვებს, რომლებიც ინტერესითა და პასუხისმგებლობით ჩაერთვნენ ექსპერიმენტში და მათ მშობლებს დათმობილი დროისათვის.

სარჩევი

<i>აბსტრაქტი</i>	3
Abstract	4
<i>შესავალი</i>	5
1.1 შინაგანი მეტყველება	7
1.2 ემოციური რეგულაცია	11
1.3 შინაგანი მეტყველება და ემოციური რეგულაცია	15
საკვლევი კითხვები და ჰიპოთეზები:.....	16
კვლევის მეთოდი	17
კვლევის მონაწილეები	17
კვლევის პროცედურა	18
საკვლევი ინსტრუმენტები.....	18
კვლევის შედეგები	21
მონაცემების ანალიზი	31
დისკუსია	32
დასკვნა	39
კვლევის შეზღუდვები და სამომავლო რეკომენდაციები	39
გამოყენებული ლიტერატურა:	41

აბსტრაქტი

ემოციური რეგულაციის უნარი, რომლის საფუძვლადმდებარე მექანიზმსაც აღმასრულებელი ფუნქცია წარმოადგენს, ემსახურება ემოციურად დატვირთულ გამოცდილებებთან გამკლავებას. შინაგანი მეტყველების თვითრეგულაციური ფუნქცია და მისი კავშირი აღმასრულებელ ფუნქციებთან არა ერთი კვლევითაა დადასტურებული, მაგრამ მწირია მონაცემები შინაგანი მეტყველების ემოციურ რეგულაციასთან კავშირის შესახებ. წინამდებარე კვლევაში მონაწილეობა 60-მა ბავშვმა მიიღო 7-დან 10 წლის ჩათვლით. ექსპერიმენტული გზით ვიკვლიეთ შინაგანი მეტყველების განვითარება, ხოლო მათი მშობლების მიერ შევსებული კითხვარით შევაფასეთ ემოციური რეგულაცია, როგორც აღმასრულებელი ფუნქციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. კვლევამ აჩვენა, რომ შინაგანი მეტყველება ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა, ანუ არტიკულაციურმა ჩახშობამ „გადართვის საფასურებს“ შორის სხვაობა მნიშვნელოვნად ვერ შეცვალა. თუმცა მონაცვლობითი დავალებების შეტანით სტატისტიკურად მნიშვნელოვნად გაიზარდა შესრულების დროებს შორის სხვაობა. ამავე დროს გამოვლინდა დადებითი კორელაცია შინაგან მეტყველებასა და ემოციურ რეგულაციას შორის მხოლოდ 9-10 წლის ბავშვებთან. ამავე ასაკობრივი ჯგუფისათვის შინაგანი მეტყველება წარმოადგენს ემოციური რეგულაციის პრედიქტორს სხვა აღმასრულებელ ფუნქციებთან ერთად.

საკვანძო სიტყვები: შინაგანი მეტყველება, ემოციური რეგულაცია, აღმასრულებელი ფუნქციები, მონაცვლობითი დავალებები, გადართვის საფასური.

Abstract

The ability to regulate emotions, the underlying mechanism of which is executive function, serves to cope with emotionally charged experiences. A number of studies have shown the self-regulatory function of inner speech and its connection with executive functions. but data on the connection of inner speech with emotional regulation are scarce. 60 children between 7 and 10 years of age took part in the present study, and we experimentally investigated the development of an inner speech and evaluated emotional regulation as one of the components of executive function with a questionnaire filled out by their parents. Research has shown that inner speech did not differ significantly by age group, meaning that articulatory suppression did not significantly change the difference between “switching costs.” However, the difference between the performance times increased statistically significantly by including alternating tasks. At the same time, a positive correlation between inner speech and emotional regulation was revealed only with 9-10-year-old children. For the same age group, inner speech is a predictor of emotional regulation along with other executive functions.

Key words: inner speech, emotional regulation, executive functions, switching tasks, switching cost